მოთხოვნა. პესების მშენებლობა აზიანებს ბუნებას და ადამიანებს, მაგრამ რა დოზით ეს გაურკვეველია. ეს შეიძლება განისაზღვროს ასრულულ წყალსაცავებზე დაყრდნობით და ყველაზე ცუდი პირობები შაორის წყალსაცავზე, სადაც გასული საუკუნის 70-იან წლების შემდეგ არანაირი სარეაბილიტაციო სამუშაოები არ შესრულებულა. ამასთანავე გეოგრაფიის ინსტიტუტმა განახორციელა 30 წლიანი დაკვირვება და ზონების აღწერა. ავლევების შედეგად დადგინდა, რომ ყველაზე სახიფათო ჟინგალის წყალსაცავია და ინციდენტის შემთხვევაში დაზიანებდა თბილისი და მცხეთა. ენგურზე ბევრად უკეთესი მდგომარეობაა და წყალსაცავის ზედაპირიდან აორთქლების დონე ძალიან დაბალია. დღესდღეობით ქვეყანას გააჩნია ენერგია, მაგრამ როგორ შეინარჩუნებს იგი ამ მდგომარეობას გაურკვეველია. თუ საქართველომ არ განავითარა პიდროვნერგების რესურსები, მაშინ მან უნდა გამოიყენოს თერმული და აბომური ენერგია, რომლის რესურსებიც არ გაგვაჩნია. ამასთან პიდროვნერგების ყველაზე უსაფრთხოა ენერგიის სხვა წყაროებთან შედარებით.

- უნდა ადინიშნოს, რომ განსახლების შემთხვევაში, ადგილობრივი საზოგადოება დაკარგავს თავის ადათ-წესებს და ტრადიციებს, კულტურულ მემკვიდრეობას, ეკლესიებს, ფრესკებს.
- ერთეული ყველაზე რთული საკითხი ჭუბერიდან დიზამდე და ნაკრას თავზე გზის გაგრძელება.
- უნდა განიმარტოს, რომ კასკადის განვითარება ნიშნავს მთლიანად სვანეთის მოსახლეობის განსახლებას.
- მათი უმორჩილესი თხოვნაა განსახლება მოხდეს რეგიონშივე. სვანები რთულად ეგუებიან ახალ გარემოს.
- გზის მშენებლობა – მნიშვნელობა არა აქვს პროექტი განხორციელდება თუ არა, რეგიონს ესაჭიროება გზა. ქუთაისის გავლით ჭუბერისკან მიმავალი გვირაბი უნდა გაკეთდეს. ეს მგზავრობის დროს 12 საათიდან 6 საათიმდე შეამცირებს.
- პროექტის ერთეული დადებითი მხარე დასაქმების საკითხია. დაახლოებით 3000 ადამიანი დასაქმდება ობიექტზე. პესების ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ 200 ადამიანი იმუშავებს მართვა-ექსპლუატაციაზე, დანარჩენი კი დასაქმდებიან განვითარებული ინფრასტრუქტურის მეშვეობიტ.
- წყლის რესურსების დაღვრა და დაკარგვა ძალიან დიდი დანაკლისია. ხედონპესის მშენებლობის შედეგად მოხდება წყლის დაგროვება და ამით წლიური მოგება 70-80 მილიონ აშშ დოლარს მიაღწევს. სს « ლალხორის » შემოთავაზებაა ჩამოყალიბებეს სვანეთის განვითარების ფონდი, რომელსაც წილი ექნება უკვე შესრულებული სამუშაოების საწესედება კაპიტალში ან ინვესტიციი აღნიშნულ ორგანიზაციას უსასყიდლოდ გადასცემს 50 მეგავატ ენერგიას. ასეთი ქმედებები მოსახლეობას რწმენას დაუბრუნებს.
- ბატონიშვილი მირონმა განმარტა, რომ საქართველოს მთავრობას სურს ახალი კანონის შემოღება მთიანი რეგიონების განვითარებასთან დაკავშირებით. ეს კანონი დაარეგულირებს პირობებს, დაიცავს მთიან რეგიონებს და შეამცირებს სიღარიბეს. მას სჯერა, რომ ხედონპესის პროექტი ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის განვითარებას.
- კითხვა : « წარმოდგენილი ალტერნატივები ნათლად არ განმარტავს თუ რა იქნება ჩენი კომპენსაცია. მოსახლეობა მოიწონებს პროექტს თუკი ჩვენ გვექნება გარკეული წილი აშენებული პესის კაპიტალში ».

ბატონიშვილი ფირცხელანმა უპასუხა : « პროექტის წინააღმდეგ წახლვა არამომგებიანი იქნება. ჩვენ უნდა მივმართოთ ყველა მცდელობას, რათა შეთანხმებას მივაღწიოთ და თუ ხაშის მოსახლეობის მოთხოვნები არ დატბორვილდა ეს ყველასთვის მტკიცნეული იქნება. ბევრი დაპირებები გაკეთდა ენგურპესის მშენებლობის დროს, მაგრამ მოსახლეობამ სათანადოდ არ დაიცვა საკუთარი უფლებები ».

კითხვა : « ძალიან გვაწუხებს კაშხლის მდგრადობის საკითხი ; მიწისძვრის შემთხვევაში საპროექტო რაიონი და მოსახლეობა რისკის ქვეშ იქნება ?

პასუხი : «აღნიშნულზე პასუხისმგებლობას სეისმოლოგიის ინსტიტუტი იღებს ».

ადგილობრივმა წარმომადგენელმა გამოთქვა ხაიშის მოსახლეობის ძირითადი მოსაზრებები :

- 1970 წელს სვანეთის მოსახლეობა 25,000 ადამიანს შეადგენდა. ხუდონაქენის პროექტის შედეგად 1500 ადამიანი უნდა განსახლდეს. ეს სვანეთისთვის საკმაოდ დიდი რიცხვია.
- ხაიშის მკვიდრი ხუდონის სახელით. კაშხალი მდებარეობს ლალხორში. ენერგეტიკის სამინისტრომ, მხრივ ბანება და კონსულტანტებმა უნდა გაითვალისწინონ პროექტის სახელის შეცვლა და მისთვის ლალხორპენის დარქმევა.
- მოსახლეობის შემთხვევლიანობის სტატუსი – სვანები საქართველოში ყველაზე დარიბი მოსახლეობაა. მიწა მოსავლიანია; მაგრამ სასოფლო-სამეურნო მიწებს სჭიდრება დამუშავება. წარსულში ეს მიწები გამოიყენებოდა, დაითესა ხორბალი მაღალ ადგილებში და კარგი მოსავალი მოიტანა. შეიძლება ფერმერობის განვითარება. მართალია, რომ ადგილობრივ მოსახლეობას უჭირს ბაზარზე გასვლა, მაგრამ გასვლის შემთხვევაში მათი პროდუქტები კომპეტენტუნარიანია.
- სრულიად მიუდებელია სასაფლაოების და ეკლუსიების გადატანა. შეუძლებელია ამის გაკეთება, ვინაიდან ზოგიერთი საფლავი შეა საუკუნეებით თარიღდება.
- ხაიშის მოსახლეობა მტკიცედ ეწინააღმდეგება კაშხლის აშენებას თავდაპირველად შერჩეულ კვეთში. თუმცა ისინი არ ეწინააღმდეგებიან სხვა ალტერნატიული ადგილის შერჩევას.

ბატონიმა ფირცხელანმა ადგილობრივ მოსახლეობას კითხა თუ რატომ ტოვებენ ისინი სვანეთს და რეგიონში რატომ მიმდინარეობს ასე ინტენსიურად ხე-ტყის ჭრა. ამ ქმედებების შედეგად, რეგიონი კარგავს ადათ-წესებს, ტრადიციებს და არა მხოლოდ მიწა რჩება აუთვისებელი. თუ პროექტის განხორციელების საციონი 5 წლით გადაიწევს, ცხოვრების პირობები მაინც არ გაუმჯობესდება, ინფრასტრუქტურა არ განვითარდება. მან მოუწოდა მოსახლეობას დაფიქრებისკენ, ემოციებისგან თავის შეკავებისკენ და ორი ცუდი ვარიანტიდან საუკუთხესო ამორჩევისაკენ.

5. ბატონიმა არჩილ ნიკოლაიშვილმა განმარტა, რომ ენერგეტიკის სამინისტრომ დაიქირავა კონსულტანტები ხუდონაქენის პრეოქტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების განსახორციელებლად. საუკუთხესო პროექტის შესარჩევად სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია იცოდეს საზოგადოების აზრი პროექტის შესახებ. მან მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები და შემოთავაზებები. სამინისტრო ირწმუნება, რომ იმ შემთხვევაში თუ ხუდონაქენი აშენდება, მოსახლეობის შემოთავაზებები და მოთხოვნები გათვალისწინებული იქნება. თუმცა, თუ მოსახლეობა პროექტის წინააღმდეგ წავა, მათ უნდა წარმოადგინონ დოკუმენტაცია და მონაცემები, როთაც დადასტურდება პროექტის უარყოფითი ზემოქმედებები. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წარმოადგინონ შემოთავაზებები პროექტის შემადგენელი ნაწილი გახდება, მაგალითად მესტიადან ლენტებსამდე ახალი გზის შექნებლობა და სხვა კომპუნისაციები.

კითხვა ბატონ ნიკოლაიშვილს: „შეენებლობის დირექტულება რა არის ხუდონის ვარიანტი?“

ბატონი ნიკოლაიშვილი: „შეენებლობის დირექტულება გათვლილი იქნა სხვა ალტერნატივებთან ერთად. ჩვენ შევისწავლეთ მთლიანი კასკადი. ცალკე მხოლოდ ერთი ვარიანტის განხილვა არაფერს არ გვაძლევს, ვკარგავთ მდინარე ენგურის პიდრო პოტენციალს და ვიღებოთ ეკონომიკურად ცუდ უქმებებას. გამოთვლილია თითოეული ალტერნატივისთვის 1 მეგავატი დადგმული სიმძლავრის დირექტულება და ასევე ზეგავლენა ენგურის გამომუშავებაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია. ენგურზე ყოველწლიურად 3 მილიონი კუბური მეტრი

წყალი იღვრება. ხუდონპესი დაარეგულირებს ენგურის წყალსაცავს. გრავიტაციული კაშხალი საშუალებას იძლევა დიდი რაოდენობით დაგაგროვოთ წყალი.

კითხვა ბატონ ნიკოლაიშვილს: ”თუ პროექტი გაგრძელდა, სად განთავსდება მართვის პუნქტი? სად იქნება საბანკო სისტემა? სად შევა შემოსავალი?”

ბატონმა ნიკოლაიშვილმა ენგურის მაგალითი მოიყვანა და განაცხადა, რომ ახალი ინფრასტრუქტურა განვითარდება; თუ მთავრობა დააფინანსებს პროექტს მთელი შემოსავალი ბიუჯეტში შევა. თუმცა დეტალები არ იქნა განმარტებული.

ადგილობრივი მოსახლეება: ”კველა სხვა ალტერნატივა, რომელიც ინარჩუნებს სოფელ ხაიშს, მაინც ძალიან საზიანოა. გაუარესდება ეკოლოგია. მაგრამ ეს უფრო ასატანია ვიდრე სხვაგან გადასახლება. სვანები ვერ გმუებიან სხვაგან ცხოვრებას. ბევრი ბრუნვება გადასახლებული ადგილებიდან. დაბნეულები ვართ და გვაწუხებს თუ სად უნდა გადავიდეთ. ვერ ვხედავთ უკეთეს ადგილს. მჯერა რომ ხალხი დასაქმდება, მაგრამ განსახლება მაინც არ გვინდა. ჩვენი რეგიონი აუთვისებელია, მაგრამ გააჩნია სოფლის მეურნეობის განვითარების პოტენციალი, განსაკუთრებით მდინარე ხაიშურასთან ახლოს მდებარე დიდ ტერიტორიას. ეს საკითხიც უნდა გათვალისწინდეს და ამ შემთხვევაში განსახლება აუცილებელი არ იქნება ».

---

## შეხვედრის ოქმი:

### ხუდონის პიდროელექტროსადგურის პროექტი საჯარო კონსულტაციები და განხილვები ხაიშში

**საპროექტო ჯგუფის წევრები:**

ბ-ნი არჩილ ნიკოლაიშვილი, ენერგეტიკის სამინისტრო  
ბ-ნი დავით შარიქაძე, ენერგეტიკის სამინისტრო  
ბ-ნი გიორგი შუკაკიძე, ენერგეტიკის სამინისტრო  
ბ-ნი გივი კიქაძე, ენერგეტიკის სამინისტრო  
ბ-ნი იოსებ მელიოაური, მსოფლიო ბანკი  
ქ-ნი ავტან კავაჯა, მსოფლიო ბანკი  
ქ-ნი ქრისტინ შრეიდერი, მსოფლიო ბანკი  
ქ-ნი დარეჯან კაპანაძე, მსოფლიო ბანკი  
ქ-ნი მაია ღუიშვილი, მსოფლიო ბანკი  
ბ-ნი ვესლი სალეირა, ერთობლივი საწარმო კოლენკო-შტუკი  
ბ-ნი გია მაჭარაძე, ერთობლივი საწარმო კოლენკო-შტუკი  
ქ-ნი თაოთა ანდლულაძე, ერთობლივი საწარმო კოლენკო-შტუკი  
ქ-ნი ფრენს მერიონი, BRL  
ბ-ნი ირაკლი სულაბერიძე, BRL

**ადგილი :**

**ხაიშის საჯარო სკოლა, სვანეთი**

**თარიღი და დრო:**

**30.07.2008 – 11.00-14.00 სთ**

**საკითხი:**

**ხუდონის პროექტი – საჯარო კონსულტაციები და განხილვები**

1. შეხვედრა გახსნა ბატონმა ნიკოლაიშვილმა ხუდონის პროექტის ისტორიის მოკლე აღწერით. მან განმარტა, რომ ენერგო დევიციელი გამო საქართველო იძულებულია იყიდოს ნაკორდი, რაც საქმიან დაირია. საქართველომ უნდა გამოიყენოს პიდროენერგეტიკული რესურსები. გამომუშავებული ენერგია ექსპორტირებული იქნება მეზობელ ქვეყნებში, შემოსავალი შემოვა ბიუჯეტში და შესაბამისად ქვეყნის სოციალური მდგრმარეობაც გაუმჯობესდება. ბატონმა ნიკოლაიშვილმა აღნიშნა, რომ ჰქონდა აშენება ძვირია და ამასთან მთავრობას არ სურს მოსახლეობა უარყოფითი ზეგავლენის ქვეშ მოაქციოს. თუმცა პიდროენერგეტიკის განვითარება საქართველოსთვის ერთადერთი გამოსავალია იმისათვის, რომ მაღაწიოს ენერგო უსაფრთხოებას და დამოუკიდებლობას. მან დაადასტურა, რომ ხუდონის მშენებლობა დაიწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუმცა მოსახლეობა დაეთანხმება აღნიშნულს და ხელმისაწვდომი იქნება საქმარი თანხები.
2. ბატონმა მელითაურმა მადლობა გადაუხადა საზოგადოებას შეხვედრაზე დასწრებისთვის და აღნიშნა, რომ ენერგეტიკის სამინისტრომ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით დაიქირავა ორი კონსულტანტი ტექნიკურ-ეკონომიკურ და გარემოსდაცვითი კვლევების განსახორციელებლად და ორივე ჯგუფს მოთხოვა წარმოედგინა მათი კვლევების დასკვნები.
3. ბატონმა ვესლი სალეირამ (ერთობლივი საწარმო კოლენკო-შტუკი) წარმოადგინა ტექნიკური კონსულტანტების მიერ განხორციელებული სამუშაოები. ერთობლივი კოლენკო-შტუკიმ პროექტზე მუშაობა 2007 წლის ივნისში დაიწყო. ხუდონის კუნძულის აშენება თავდაპირველად შერჩეულ კვეთში გამოიწვევს სოფელ ხაიშის დატბორვას. შედეგად ერთობლივ საწარმოს მოეთხოვა სხვა ისეთი ალტერნატივების შესწავლა, რომლებიც არ გამოიწვევდა სოფელ ხაიშის დატბორვას. ერთობლივმა საწარმომ შეისწავლა დაახლოებით 23 სხვადასხვა ალტერნატივა, საიდანაც მხოლოდ სამი არის ხედონის თავდაპირველად შერჩეულ კვეთში, დანარჩენი კი ხაიშის ზედა ბიეფშია. ერთობლივმა საწარმომ ენერგეტიკის სამინისტროსთან შეთანხმებით წარმოადგინა სამი ძირითადი ალტერნატივა.

- ალტერნატივა 1 – 35 მ სიმაღლის კაშხალი ხაიშის ქვემოთ 560 მ ნიშნულზე და 150 მ სიმაღლის კაშხალი ხაიშის ზემოთ 700 მ ნიშნულზე.
- ალტერნატივა 2 – თავდაპირველი საპროექტო კვეთი 200 მ სიმაღლის კაშხლით 700 მ ნიშნულზე (იწვევს სოფელი ხაიშის დატბორვას).
- ალტერნატივა 3 – ხაიშის ზედა ბიეფში ლახანის ტერიტორიაზე 910 მ ნიშნულზე მაღალი კაშხალი. ამ შემთხვევაში ხაიში არ დაიტბორება და კაშხალი არსებულ ჰქის შენობას შეუერთდება 9 კმ სიგრძის სადაწერო გვირაბით.

ეპონომიკურმა გათვალისწინებმა ცხადყო, რომ ხუდონპესის თავდაპირველი პროექტი ყველაზე იაფი ვარიანტია და მშენებლობის ყველაზე ხანმოკლე გადა გააჩნია. ერთობლივმა საწარმომ გამოიტქვა აზრი, რომ მდინარე ენგურზე პესების კასკადის განვითარება ძალიან ხნიშვნელოვანია.

4. BRL-ის წარმომადგენელმა ფრენს მარიონმა წარმოადგინა გარემოზე და სოციალური ზემოქმედების ანგარიშის მირითადი დასკვნები. BRL-ის ამოცანა და მიზანი არის შერჩეული პროექტის ფარგლებში სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების სათანაბოლ გათვალისწინება, შემარბილებელი ლონისმიერების გამოვლენა, განსახლების გეგმის, დასაქმებისა და სასწავლო პროგრამების მომზადება.

დამსწრე პირების უმეტესობამ აღნიშნა, რომ არავის უნდა ამ პროექტის განხორციელება და დაისვა კითხვა აუცილებელი არის თუ არა წარმოდგენილი ალტერნატივებიდან ერთ-ერთის განვითარება.

5. ბატონმა ნიკოლაიშვილმა ახსნა, რომ ხუდონპესი საუკეთესო ვარიანტია, როგორც ტექნიკური, ასევე ეპონომიკური თვალსაზრისით. საბოლოო გადაწყვეტილებას მინისტრთა კაბინეტი მიიღებს, მაგრამ რასაკვირველია საჯარო კონსულტაციების და ადგილობრივი მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით. ენერგეტიკის სამინისტრომ გამოვლინა პროექტის საუკეთესო ვარიანტი და მიმდინარე საჯარ განხილვების მთავარი მიზანი არის საზოგადოების მიერ პროექტზე მოსაზრებების გამოხატვა და მათგან კომეტარების მიღება.

კითხვა: “ეს პროექტი ზეგავლენას ახდენს არა მარტო ხაიშზე, არამედ მთლიანად სვანეთზე. რა იქნება კომპენსაცია? თუ ჩეენ იმავე კომპენსაცია შემოგვთავაზებენ რას საბჭოთა კავშირის დროს შემოგვთავაზეს, მაშინ ჩეენ არ დავთანხმდებით განსახლებას”.

ბატონმა ნიკოლაიშვილმა სხვა ქვეყნის მაგალითები მოიყვანა, სადაც ანალოგიულ პრობლემებს აწყვებიან და აღნიშნა, რომ დაინტერესებულმა პირები, მთავრობა და მოსახლეობა შეთანხმების მიღწევისათვის გარევაულ დათმობაზე უნდა წავიდნენ.

ერთერთმა ადგილობრივმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოსახლეობამ დაკარგა რწმენა და ეწინააღმდეგება განსახლებას მიუხედავად იმისა უზრუნველყოფების თუ არა მათ კარგი პირობებით და განვითარებული ინფრასტრუქტურით. მოსახლეობისთვის ერთერთ პრობლემას თავად პროექტის სახელწოდება წარმოადგენს. მათი აზრით უფრო მიზანშეწონილია პროექტს ეწოდოს ხაიშის პროექტი. მათი თხოვნაა ისეთი პროექტის შერჩევა, რომლითაც თავიდან იქნება აცილებული განსახლება და მათ სურთ გადაწყვეტილების რაც შეიძლება დროულად გაგება.

ერთერთმა დამსწრემ წაიკითხა ამონარიდი გასულ წლის გაზეთიდან. ეს სტატია ეხებოდა ხუდონპესის პროექტს, კრძოდ ენერგეტიკის სამინისტროს მიერ პროექტის თავდაპირველად შერჩეულ კვეთში პესების მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით და რომ ნებისმიერი სხვა ალტერნატივა შესახვალად საერთოდ არ მოიაზრებოდა. ბატონმა ნიკოლაიშვილმა განაცხადა, რომ სტატიაში წარმოდგენილი ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა. მთავრობა ახორციელდება კელევებს იმის დასაზუსტებლად არის თუ არა ძველი (თავდაპირველი) პროექტი ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით განხორციელებადი. სხვადასხვა ალტერნატივული პროექტების დეტალურ ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას უფრო ხანგრძლივი, დაახლოებით 6 წელი დასჭირდება.

ადგილობრივი სკოლის მასწავლებელმა, ბატონმა აქაკი ზუმაქემ განაცხადა, რომ მოსახლეობა პროექტს ტრაგედიად აღიქვამს. მათ ახსოვთ ისტორია, განსახლების წინა გამოცდილება. ნათელია, რომ ქვეყანას ელექტროენერგია ესაჭიროება და გასაგებია, რომ ჰესების განვითარება მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ ამის მისაღწევად გატარებული ქმედებები მოსახლეობას ავნებს და უარყოფითად მოქმედებს გარემოზე და სოციალურ პირობებზე, მაშინ ძთავრობაში სხვა გამოსავალი უნდა იძოვოს. იმ შემთხვევაში თუ სხვა გამოსავალი ვერ იქნა ნაპოვნი, მაშინ ისეთი ალტერნატივა უნდა შეირჩეს, რომლის შედეგაც სოფელი ხაიში არ დაიტბორება.

ბატონმა ზურაბ ნიუარაძემ, ხაიშის საჯარო სკოლის მასწავლებელმა, ენერგეტიკის სამინისტროს, მსოფლიო ბანკის და BRL-ფის მიმართული წერილი წაიკითა, სადაც წარმოდგენილია ის მიზეზები, თუ რატომ ეწინააღმდეგება ადგილობრივი მოსახლეობა პროექტს. წერილს ხელს აწერს 600 ადგილობრივი მოსახლე. ზოგადად მოსახლეობა არ უჭერს მხარს განსახლებას, განსაკუთრებით კი საფლავების გადატანას.

---

**შეხვედრის ოქმი:**  
**ხუდონის პიდროელექტროსადგურის პროექტი**  
**საჯარო კონსულტაციები და განხილვები ზუგდიდში**

**საპროექტო ჯგუფის წევრები:**

ბ-ნი არჩილ ნიკოლაიშვილი, ენერგეტიკის სამინისტრო  
ბ-ნი დავით შარიქაძე, ენერგეტიკის სამინისტრო  
ბ-ნი გიორგი შეგაიძე, ენერგეტიკის სამინისტრო  
ბ-ნი გივი კიბაძე, ენერგეტიკის სამინისტრო  
ბ-ნი იოსებ მელითაური, მსოფლიო ბანკი  
ქ-ნი აფშან კავაჯა, მსოფლიო ბანკი  
ქ-ნი ქრისტინ შრეიდერი, მსოფლიო ბანკი  
ქ-ნი დარიჯან კაპანაძე, მსოფლიო ბანკი  
ქ-ნი მაია დუიშვილი, მსოფლიო ბანკი  
ბ-ნი ვესლი საღვთირა, ერთობლივი საწარმო კოლენკო-შტუკი  
ბ-ნი გია მაჭარაძე, ერთობლივი საწარმო კოლენკო-შტუკი  
ქ-ნი თათია ანდოულაძე, ერთობლივი საწარმო კოლენკო-შტუკი  
ქ-ნი ფრენს მერიონი, BRL  
ბ-ნი ირაკლი სულაბერიძე, BRL

**ადგილი :**

გამგეობის ოფისი, სვანეთი

**თარიღი და დრო:**

30.07.2008 – 17.00-19.00 სთ

**საკითხი:**

ხუდონის პროექტი – საჯარო კონსულტაციები და განხილვები

1. ენერგეტიკის სამინისტრომ, მსოფლიო ბანკით და ორივე კონსულტანტმა წარმოადგინეს ხუდონის პროექტი, რომლის შემდგომ დამსწრე საზოგადოებამ გამოთქვა საქუთარი მოსახურებები და შენიშვნები. ერთეულმა დამსწრე აღნიშნა, რომ ხაიშის დატბორვა მიზანშეწონილია, ვინაიდან წრმოდგანილ ალტერნატივების დირექულებს შორის სხვაობა ძალიან დიდია, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობისთვის კომპენსაციები უნდა გაიცეს. ამასთან შეიქმნება კასკადის განვითარების კარგი შესაძლებლობა.
2. კითხვა: “რამდენი ადამიანი დასაქმდება მშენებლობის დროს?”  
პასუხი: 1500 ადამიანი მშენებლობის პიკურ პერიოდში, ხოლო 200 ადამიანი პესის ექსპლუატაცია-მართვის პერიოდში.

კომენტარი: “ენგურჲესის მშენებლობის შედეგად პესის ქვედა ბიეფში განლაგებული ტერიტორიის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ეს პროექტი გააუმჯობესებს ზუგდიდის მდგომარებას, ვინაიდან პესის მშენებლობის შედეგად შეწყდება კატასტროფული წყალდიდობები”.

ერთეულმა დამსწრე განაცხადა, რომ ხუდონის თავდაპირველი პროექტის შეწყდების შემდეგ დაიწყო სეტყის მასიური გაჩეხვა, რამაც რათქმაუნდა უარყოფითად იმოქმედა ეპოლოგიაზე.

3. ბატონმა მირონ ფირცხელანმა წარმოადგინა სვანეთის მოსახლეობის ინტერესები. მან აღნიშნა, რომ მსოფლიო ბანკი და ენერგეტიკის სამინისტრო მაქსიმალურად ცდილობს პროექტი სათანადოდ გააცნოს საზოგადოებას. მან განიხილა შემდეგი საკითხები:
  - საქართველოს წყლის რესურსების გარდა ენერგიის სხვა წყარო არ გააჩნია და ქვეყანა პიდროენერგეტიკის განვითარებაზე უარს ვერ იტყვის. პიდრეონერგეტიკა ენერგიის ეკოლოგიურად უველავე სუფთა საშუალებაა თუმცა ის დასაშეგ ნორმებში

გამოიყენება. მისი აზრით, ხუდონაცესის მშენებლობა აუცილებელია; ენერგეტიკის რომ რაიმე დაემართოს, მოლიანი დასავლეთ საქართველო დიდი რისკის ქვეშ დადგება;

- სვანური ენა და ცივილიზაცია შენარჩუნებული უნდა იყოს და ამ მიზნით მოსახლეობა უნდა განსახლდეს ახლომდებარე რაიონებში და არ მოსწყდეს საკუთარ ფესვებს.
- წილობრივი მონაწილეობა – პირველ რიგში კანონი უნდა არეგულირებდეს ქვედა პროცესს. ჰესი უნდა იყოს საქართველოს საკუთრებაში, იქნება ეს სამთავრობო ოუ კერძო სექტორის საკუთრება. მოსახლეობას უნდა მიეცეს აქციების შესყიდვის შესაძლებლობა. ოუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თავდაპირველ პროექტზე 100 მილიონი აშშ დოლარი უპარ დაიხარჯა, სვანეთის მოსახლეობა გარემონტ წილს უპარ იმსახურებს.
- სამუშაოები საზოგადოება პროექტს არასწორად აღიქვამს და ვერ აანალიზებს პიდრო რესურსების გამოყენების აუცილებლობას. ქვეყანაში შემოსული ინვესტორები გამოყენებული უნდა იქნან პიდროვნერგების განვითარებისათვის. საქართველოს არ გააჩნია სხვა სვეროების ან დარგების განვითარების შესაძლებლობა და რესურსები.
- ხუდონაცესის აშენების შემთხვევაში, ელექტროენერგიის ტარიფი 30-35%-ით უნდა შემცირდეს თუ კერძო კომპანიებმა არ დაიწყეს დარეგულირება და ხელოვნურად არ პროცესში ჩარევა.

შემდგომ ბატონში ნიკოლაიშვილმა ახსნა და განმარტა საინვესტიციო საკითხები და გამოაცხადა, რომ საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია ქვეყანაში ჩადებული ინვესტიციების გამოყენება პიდროვნერგების განვითარებისათვის.

**შეხვედრის ოქმი:**  
**სუდონის პიდროელექტროსადგურის პროექტი**  
**საჯარო კონსულტაციები და განხილვები თბილისში**

**საპროექტო ჯგუფის წევრები:**

ბ-ნი არჩილ ნიკოლაიშვილი, ენერგეტიკის სამინისტრო  
ბ-ნი დავით შარიქაძე, ენერგეტიკის სამინისტრო  
ბ-ნი გიორგი შუკაძე, ენერგეტიკის სამინისტრო  
ბ-ნი გიგი კიკნაძე, ენერგეტიკის სამინისტრო  
ბ-ნი იოსებ მელითაური, მსოფლიო ბანკი  
ქ-ნი აზშან კავაჯა, მსოფლიო ბანკი  
ქ-ნი ქრისტინ შრეიდერი, მსოფლიო ბანკი  
ქ-ნი დარიუს კაპანაძე, მსოფლიო ბანკი  
ქ-ნი მაია ღუიშვილი, მსოფლიო ბანკი  
ბ-ნი ვესლი სალეიირა, ერთობლივი საწარმო კოლენკო-შტუკი  
ბ-ნი გია მაჭარაძე, ერთობლივი საწარმო კოლენკო-შტუკი  
ქ-ნი თათია ანდლაუბაძე, ერთობლივი საწარმო კოლენკო-შტუკ  
ქ-ნი ფრენს მერიონი, BRL  
ბ-ნი ირაკლი სულაბერიძე, BRL

**ადგილი :**

**თარიღი და დრო:**

**საიშის საჯარო სკოლა, სვანეთი**

**31.07.2008 – 16.00-18.00 სთ**

**საკითხი:**

**სუდონის პროექტი – საჯარო კონსულტაციები და განხილვები**

1. ბატონმა ნიკოლაიშვილმა გახსნა შეხვედრა სუდონის პროექტის და მისი მიმდინარე სტატუსის მოკლე მიმოხილვით.
2. მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა ბატონმა მელითაურმა წარმოადგინა გარემოსდაცვითი სტატეგიული შეფასება.
3. არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დასმული შეკითხვა გარემოსდაცვით სტრატეგიულ შეფასებასთან დაკავშირებით: “კვლევებმა მიუთითეს, რომ ელექტროენერგიის რეალიზაციის ბაზარი მთლიანად არ იქნა შესწავლილი და შესაბამისად არ ვიცით თუ რომელი ქვეყნებს ესაჭიროებათ საქართველოს მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია? ეს საკმაოდ უცნაური დასკრნა. ნათლად ვერ ვხედავთ არსებობს თუ არა რაიმე სხვა ალტერნატივა, რომელსაც ყველაზე მინიმალური უარყოფითი ზეგავლენა აქვს გარემოზე და სიციალურ პირობებზე. გარემოსდაცვით სტრატეგიულ შეფასების ანგარიშში განსაზღვრულია, რომ ქარის ელექტროსადგურების ზეგავლენა უფრო ნებატიურია, ვიდრე პიდროელექტროსადგურების. ასეთ დასკრნა აბსურდია. რატომ ჩანს სიდარიბის დაძლევის სცენარები ასეთი არარეალური? არ ვეთანხმები, რომ სუდონმა უნდა მოახდინოს ენგურზე დაღვრილი წყლის აკუმულირება”.

შპს “ენგურჲესი”-ს დირექტორმა, ბატონმა ლევან მებონიამ განაცხადა, რომ ენგურის მიერ წყლის დაღვრის მიხევი რესურსების აუთივისებლობა და სიმძლავრეების უკმარისობაა. სუდონის შედევად წყლის განაწილება დარეგულირდება და დალამგის პრობლემებიც აღმოიფხვრება; იმ გარანტია, რომ გამომუშავებული ელ. ენერგია გაიყიდება, საწვავზე ფასების გაზრდა.

ბატონმა მელითაურმა პასუხი გასცა ქარის ენერგიასთან დაკავშირებით გამოთქმულ კომენტარს და განმარტა, რომ ანგარიში ნათლად განსაზღვრავს იმას, რომ ქარის ენერგიას ყველაზე მინიმალური უკოლოგიური ზეგავლენა მოაქვს. ქარის ენერგიის გამოყენება შეიძლება ავტონომიურ რესპუბლიკებში, მაგრამ მთლიანი ქვეყნა ასეთი ენერგიის განვითარებით სარგებელს ვერ მიიღებს. რაც შეეხება ბაზრის ანალიზს, ეს ნიშნავს ყიდვა-

გაყიდვას. შესყიდვის და გაყიდვის ღირებულება ერთია და ეს უბრალოდ ელ. ენერგიის გაცვლას ნიშნავს.

ბატონმა ნიკოლაიშვილმა აღნიშნა, რომ ელ. ენერგიის ვაჭრობის გარეშეც, ქვეყანას ექნება საკმარისი რეზერვი ზამთარში და ეს უზრუნველყოფს ენერგო უსაფრთხოებას. საქართველოს სურს ყველა პესის განვითარება და მხოლოს ელ. ენერგიის გამოყენება; მიმდინარეობს მოლაპარაკებები თურქეთთან და ირანთან.

4. ერთობლივი საწარმოს ადგილობრივმა ტექნიკურმა მენეჯერმა დაადასტურა, რომ პიდრენერგეტიკა უფრო საიმედოა, ვიდრე განახლებადი ენერგია, რომელიც ნაკლებად სტაბილურია. განვითარებულ ქვეყნებში პიდრენერგია გამოიყენება პიკური დატვირთვების დროს. ქარის და მზის ენერგიის გამოყენება მიზაშეწონილია მაშინ, როდესაც ხდება მოთხოვნის დაბადიანსება პიდრო რესურსებით. ხუდონპესის კასტადის ერთეული კომპონენტია და მისი განვითარება შესაძლებელია საფეხურებრივად ქვემოდან ზემოთ ან პირიქით. მან ასენა და განმარტა საჯარო განხილვებზე წარმოდგენილი თითოეული ალტერნატივის ძირითადი პარამეტრები და აღნიშნა, რომ ხუდონპესი ტექნიკური და ეკონომიკური ხარჯების მიუხედავად ყველაზე იაფი გარისტია.
5. ქალბატონმა ფრენს მარიონმა და ბატონმა ირაკლი სულიპრიძემ წარმოადგინეს გარემოზე ზემოქმედების წინასწარი ანგარიში და სამივე ალტერნატივის დაღებითი და უარყოფითი მხარეები.

კითხვა BRL-ს: „შემოთავაზებული ვარიანტებიდან, ალტერნატივა 2 ზეგავლენას ახდენს სოფელ ხაიშზე და მის შემოვარენზე. ეს თქვენს პრეზენტაციაში ნათლად არ არის გამოხატული. ერთეულ პრობლემას სოციალური საკითხი წარმოადგენს. წინა განსახლებებს დადებითი შედეგები არ მოჰყვა. მიკროკლიმატზე ზეგავლენის ანალიზი არ იძლევა დეტალურ ინფორმაციას თითოეული კომპონენტის შესახებ. ხუდონპესის საპროექტო რაიონში არ ხვდება ზედა სეანგოს დაცული ტერიტორიები. ძალიან კარგად ვიცი, რომ საბჭოთა კაშირის დროს სამუშაოები შესრულდა ფერდობებზე, ბეტონის გამაგრების მიზნით. ამ ზეგავლენის შესარბილებლად უნდა გაშენდეს ტექნიკი, მაგრამ ამას სულ მცირე 40 წელი დასჭირდება. არ ვეთანხმები გარემოსდაცვითი ხტრატეგიული შეფასების ანგარიშს, სადაც ნათქამია, რომ გარემოზე ზემოქმედების დონე ძალიან დაბალია“.

ბატონმა მელითაურმა უპასუხა, რომ ტექნიკური დავალებით გაწერილი ვალდებულების გარდა კონტრაქტორი სხვა დამატებით ვალდებულებებს თავის თავზე არ იღებს.

BRL-მა კი უპასუხა, რომ პროექტზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, კონსულტანტები დაიწყებენ დეტალურ კვლევებს და შეასებენ გარკვეულ ხარვეზებს.

6. სს «ლალხორის» და საქართველოს მცირერებათა აკადემიის წარმომადგენელმა ბატონმა მიორ ფერცხელანმა განმარტა, რომ ერთობლივი საწარმოს კოლენგო-შტუკის და BRL-ის მიერ საპროექტო ალტერნატივების შესწავლა ენერგეტიკის სამინისტროს და მსოფლიო ბანკის დავალებით განხორციელდა. სასურველი პროექტის შერჩევა კონსულტანტების ვალდებულებაში არ შედის. მან წარმოადგინა სს «ლალხორის» და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოსახრებები და დასკვნები ხუდონპესის პროექტის შესახებ :

- ნებისმიერი პესის აშენების უარყოფა დასაბუთებული უნდა იყო შესაბამისი დოკუმენტაციით, რითაც დასტურდება კატასტროფული შედეგების არსებობა. მეცნიერებათა აკადემიაში სხდომაზე გამოცხადდა ნებისმიერი მასალის წარმოდგენის მოთხოვნა. პესების მშენებლობა აზიანებს პუნქტას და ადამიანებს, მაგრამ რა დოზით ეს გაურკვეველია. ეს შეიძლება განისაზღვროს ასრებულ წყალსაცავებზე დაყრდნობით და ყველაზე ცუდი პირობები შაორის წყალსაცავზეა, სადაც გასული საუკუნის 70-იან წლების შემდეგ არანაირი სარეაბილიტაციო სამუშაოები არ შესრულებულა. ამასთანავე გეოგრაფიის ინსტიტუტმა განახორციელა 30 წლიანი დაკვირვება და ზონების აღწერა. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ყველაზე სახიფათო ჟინვალის წყალსაცავია და ინციდენტის შემთხვევაში დაზიანებდა თბილისი და მცხოვა.

ენგურზე ბევრად უკეთესი მდგომარებაა და წყალსაცავის ზედაპირიდან აორთქლების დონე ძალიან დაბალია. დღესდღეობით ქვეყანას გააჩნია ენერგია, მაგრამ როგორ შეინარჩუნებს იგი ამ მდგომარეობას გაურკვეველია. თუ საქართველომ არ განავითარა პიდროვნერგებტიკული რესურსები, მაშინ მან უნდა გამოიყენოს თერმული და ატომური ენერგია, რომლის რესურსებიც არ გაგვაჩნია. ამასთან პიდროვნერგებტიკა კვლებზე უსაფრთხოა ენერგიის სხვა წყაროებთან შედარებით.

- უნდა აღინიშნოს, რომ განსახლების შემთხვევაში, ადგილობრივი საზოგადოება დაკარგავს თავის ადაო-წესებს და ტრადიციებს, კულტურულ მემკვიდრეობას, ეკლესიებს, ფრესკებს.
  - ერთერთი ყველაზე რთული საკითხი ჭუბერიდან დიზამდე და ნაკრას თავზე გზის გაგრძელება.
  - უნდა განიმარტოს, რომ კასკადის განვითარება ნიშნავს მთლიანად სვანეთის მოსახლეობის განსახლებას.
  - მათი უმორჩილესი თხოვნაა განახლება მოხდეს რეგიონშივე. სვანები რთულად ეგუებიან ახალ გარემოს.
  - გზის მშენებლობა – მნიშვნელობა არა აქვს პროექტი განხორციელდება თუ არა, რეგიონის ესაჭიროება გზა. ქუთაისის გავლით ჭუბერისკან მიმავალი გვირაბი უნდა გაკეთდეს. ეს მგზავრობის დროს 12 საათიდან 6 საათამდე შეამცირებს.
  - პროექტის ერთერთი დადგბითი მხარე დასაქმების საკითხია. დაახლოებით 3000 ადამიანი დასაქმდება ობიექტზე. ჰესის ექსპლუატაციაში შეხვლის შემდეგ 200 ადამიანი იმუშავებს მართვა-ექსპლუატაციაზე, დანარჩენი კი დასაქმდებიან განვითარებული ინფრასტრუქტურის მეშვეობით.
  - წყლის რესურსების დაღვრა და დაკარგვა ძალიან დიდი დანაკლისია. ხუდონკეშის მშენებლობის შედეგად მოხდება წყლის დაგროვება და ამით წლიური მოგება 70-80 მილიონ აშშ დოლარს მიაღწევს. სს « ლალხორის » შემოთავაზებაა ჩამოყალიბდეს სვანეთის განვითარების უონდი, რომელსაც წილი ექნება უმცეს შესრულებული სამუშაოების საწესდება კაპიტალში ან ინვესტიციი ადნიშნულ ობიექტიზაციას უსასყიდლოდ გადასცემს 50 მეგავატ ენერგიას. ასეთი ქმედებები მოსახლეობას რწმენას დაუბრუჯებს.
  - ენერგია – ფასები საწვავზე და განახლებად ენერგიაზე იზრდება.
7. ხაიშის საჯარო სკოლის მასწავლებელმა ბატონმა აკაკი ზუმაძემ განაცხადა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ეწინააღმდეგება განსახლებას. ისინი ეთანხმებიან სხვა ალტერნატივების განხილვას, იმ ალტერნატივების, რომელთა განვითარების შემთხვევაში სოფელი არ დაიტბორება. პირველი (1) ალტერნატივის შერჩევის შემთხვევაში, მეორე უფრო მაღალ კაშხალოთან ახლოს მდებარე მოსახლეობის ჰცირე რაოდენობას მოუწევს ხაიშში გადასახლება. მისი თქმით რეგიონის გააჩნია მრავალი რესურსი, რომელთა ათვისება არის საჭირო. მიზანშეწონილია 2 ან 3 წლის დათმობა იმისათვის, რომ განხორციელდეს ალტერნატივა 1-ის დეტალური ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.

ბატონმა ნიკოლაიშვილმა შეაჯამა საჯარო კონსულტაციების შეხვედრა. მან აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება პროექტის შესახებ მიღებული იქნება მხოლოდ საზოგადოებასთან შეთანხმებით. დღემდე ჩატარებული კვლევები მხოლოდ წინასწარია. საკვლევ რაიონად ენერგეტიკის სამინისტრომ ხუდონ-ხაიშის ტერიტორია შეარჩია, ვინაიდან ზემო ბიეფში არსებული ნებისმიერი სხვა ადგილი უამრავი პროექტის განვითარების შესაძლებლობას იძლევა და ამ ეტაპისთვის მიზანშეწონილად არ მიაჩნია ასეთი კვლევების ჩატარება. აღნიშნულ ხუდონ-ხაიშის ტერიტორიაზე, ყველა ასევების გათვალისწინებით ხუდონკეშის თავდაპირველი პროექტი ყველაზე საუკეთესო ვარიანტია და დადგითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ექსპერტები ყველანაირ

ძალისხმევას მიმართავენ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; თუმცა, წარმოდგენილი შემოთავაზებები და პირობები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ხუდონის თავდაპირველ პროექტზე უარყოფითი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, მთავრობამ შესაძლოა საერთოდ უარი განაცხადოს ნებისმიერი პროექტის განვითარება, ვინაიდან ორი სხვადასხვა კაშხლის აშენება უახრობაა უარყოფითი ზემოქმედებების გამო და ამით არასწორად იქნება გამოყენებული მდინარე ენგურის ჰიდროპოტენციალი. მთავრობა მზად არის დაიწყოს მოლაპარაკები და შეარჩიოს სასურველი ადგილები განსახლებისთვის. ქვეყნის განვითარება დამოკიდებულია ენერგეტიკის სექტორზე ; ეს უნდა იყოს ყველასთვის პრიორიტეტი და არა მარტო საიშის საკითხი.